MES 4 22 0000152061

15/02/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08.02.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:40სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

9. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგიღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. დიანა მჭედლიშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
14. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
17. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	ქეთევან ინანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	შოთა კეჟერაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
8	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი		სტატუსი	საკითხი

		საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება		
1	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	ხათუნა მხეიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	I, V
3	შალვა კელეპტრიშვილი		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი	I, V
4	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	II, III
5	ირმა დიხამინჯია		ფაკულტეტის დეკანი	II, III
6	კახი კოპალიანი		ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	II, III
7	დავით ჯალაღონია		პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	II
8	ლარისა თაკალანძე		პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	II
9	გიორგი ბერულავა		პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	II
10	ნინო ხარებავა		ასოცირებული პროფესორი	II
11	ნინო ქეცბაია		ასისტენტ-პროფესორი	II
12	ხათუნა ამაღლობელი		სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი	III
13	ნინო ტალიაშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	რექტორი	IV
14	სოფიო ხუნდაძე		ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	IV
15	ნინო გადილია		ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი	IV
16	რუსუდან გოგიტიძე		ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	IV
17	ანა გვრიტიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
18	მაია აზმაიფარაშვილი			IV

			„ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	ემზარ ჯგერენაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
3	ფლორა ესებუა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	მარიამ მაჭავარიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
7	რუსუდან სეთურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
8	ნატალია კვაჭანტირაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
9	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
10	ზურაბ ჯანხოთელი	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
11	ნინო დონდოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
12	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	დავით ფუტკარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· დიახ

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ანი ბილანიშვილმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმომადგელების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის პირველ საკითხად განხილვის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმომადგელების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმომადგელების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დააყენა შუამდგომლობა საბჭოს კიდევ ერთხელ განეხილა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი და გაეთვალისწინებინა დაწესებულების მიერ ლაბორატორიასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რიგი გარემოებები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საბჭომ მხედველობაში მიიღო დაწესებულების სურვილი და თანხმობა განაცხადა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის ხელახლა განხილვა 2022 წლის 11 თებერვალს გამართულიყო.

2. მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07.06.2021 გადაწყვეტილება MES 2 21 0000531519
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №61, თბილისი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა მაკა კაჭარავამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ, განაცხადა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა სრული 7 წლიანი აკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების 6 თვეში შესრულების წინაპირობით. გაიცა 6 რეკომენდაცია, რომლებიც მოიცავდა პროგრამის სწავლის შედეგებს, რომელიც გულისხმობდა პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების განვითარებას ლოგიკური დონეების ჩვენებას, მათ შორის გაცნობიერება, გაღრმავება, განმტკიცების დონეებზე, ასევე მათი ფორმულირების მორგებას არსებულ სტანდარტებზე, იყო რეკომენდაციები სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით, მათი დაზუსტების შესახებ, რეკომენდაციები სავალდებულო ლიტერატურის განახლებასა და კონკრეტულ სილაბუსებში დაზუსტებასთან მიმართებით. დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ განახორციელა გარკვული ღონისძიებები აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად:
• დაკორექტირდა სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის ამსახველი რუკა, სადაც ნათლად გამოიკვეთა პროგრამის სწავლის შედეგების სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) განვითარების დინამიკა;
• მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირების დაზუსტება, რაც ზუსტად ასახავს მის შინაარსსა და მოცმეულობას;
• დაკორექტირდა ზოგიერთი სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, მაგ., „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვრა „ფინანსური აღრიცხვის“ სასწავლო კურსი და ა.შ., დაზუსტა ასევე (Minor) პროგრამაში შემავალი ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობა, მაგ., „მარკეტინგის საფუძვლების“ სასწავლო კურსს მოეხსნა წინაპირობა და ა.შ.;
• განახლდა ცალკეული სასწავლო კურსების („ადამიანური რესურსების მართვა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“, „საგადასახადო საქმე“) სავალდებულო ლიტერატურა;
• დაზუსტდა ის სასწავლო კურსები და მეთოდოლოგია რომლითაც მიიღწევა პროგრამაში ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით
ექსპერტის მოსაზრებით საერთო ჯამში შესრულებულია ყველა რეკომენდაცია, რაც ასახულია დასკვნაშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ, განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია მისაღები იყო უნივერსიტეტისთვის და გაითვალისწინეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:57

დასრულების დრო: 15:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია / Sociology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.11.2012 გადაწყვეტილება №737
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Sociology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №61, თბილისი, 0186, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა მაკა კაჭარავამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ემზარ ჯგერენაიამ, განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ ვიზიტი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2021 წლის 13 დეკემბერს. ონლაინ ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფს შესავალი სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა, რომელმაც ისაუბრა უნივერსიტეტის მისიაზე, სოციოლოგიის პროგრამის მნიშვნელობაზე, მის ადგილსა და როლზე უნივერსიტეტის სტრუქტურასა და მისიაში, რამაც კეთილგანწყობისა და ღიაობის ატმოსფეროს შექმნას შეუწყო ხელი. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ღიად და გახსნილად პასუხობდა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ დასმულ კითხვებს, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მიგვეღო ამომწურავი პასუხები პროგრამის ყველა კომპონენტზე. მუშაობა წარიმართა კოლეგიურ და კეთილგანწყობილ ატმოსფეროში. მისი თქმით ეს იყო ყველაზე ღია და დაუფარავი მსჯელობა პროგრამის ნაკლოვანებებზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომედნებულია თანამდეროვე და პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიების კურსების ფარგლებში გადაიხედოს კვირების მიხედვით განსახილველი საკითხები, ერთი და იგივე ავტორებისთვის რამდენიმე კვირის დათმობის შემთხვევაში კი, განისაზღვროს შესაბამისი ლიტერატურა და/ან დაემატოს სხვა ავტორები (მაგ., მანუელ კასტელსი, ენტონი გიდენსი);
2. რეკომენდებულია კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსების სილაბუსების გამართვა. კერძოდ, განსახილველი საკითხებისა და შესასრულებელი დავალებების იმგვარად განსაზღვრა, რომ ისინი ფოკუსირებული იყოს არა თეორიული მასალის გაცნობაზე, არამედ კვლევის დაგეგმვა-განხორციელებაზე;

3. რეკომენდებულია პროფესიული პრაქტიკის კურსის შინაარსის გამართვა იმგვარად, რომ მისი მიზანი და შედეგები გულისხმობდეს ბაკალავრებისთვის კვლევის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას კვლევით პროექტზე მუშაობის გზით;
4. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში/სემინარებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი;
5. რეკომენდებულია, დამსაქმებლებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით მათ ასევე გასცეს რჩევები, რადგან, მაგ., როგორ შეადგენდნენ სავალდებულო და არჩევით კურსებს ეს პროგრამის გადასაწყვეტი იყო. ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს აღნიშნულ პროგრამაზე და პროგრამის ხელმძღვანელი/განმახორციელებელი პერონალი მოტივირებულნი არიან პროგრამის გაძლიერებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ, განაცხადა, რომ ვიზიტის განმავლობაში დაწესებულების წარმომადგენლები ღიად საუბრობდნენ პროგრამის პრობლემებზე, რეკომენდაციები მისაღებია დაწესებულებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის კვალიფიკაციებში ჭარბობს ფილოსოფია, მისთვის ცნობილია, რომ სოციოლოგია ახალი დარგია და ამ მიმართულებით ჭირს პერსონალი ყველა ინსტიტუციაში, მაგრამ დაინტერესდა თუ გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი პერსონალის კვლევითი კომპონენტსა და სამეცნიერო აქტივობას და რა მდგომარეობაა ამ კუთხით. მან დაწესებულებას ურჩია, რომ ზოგადად, პრაქტიკულ კურსში დასკვნითი გამოცდა აღარ უნდა იყოს, რადგან პრაქტიკული კურსი ორიენტირებულია დავალებების მიცემაზე და სადაც არის პრაქტიკული ნაწილი ჩადებული სტუდენტისთვისაც კარგი იქნება ნავიგაციისთვის, რომ გაიგოს თუ რას სთავაზობს კურსი, კითხვარის შედგენას, მინი კვლევის ჩატარება, ყველა შეფასების კომპონენტი ერთი სტილით და ზოგადი ფორმით არის წარმოდგენილი, რაც რთულად აღქმადს ხდის, მაგ., „თვისებრივი კვლევის მეთოდების“ დავალებები რით განსხვავდება „რაოდენობრივი კვლევის მეთოდების“ კურსის დავალებისგან, „ფილოსოფიურ და სოციალურ ანთროპოლოგია“ სასწავლო კურსი ფაქტობრივად არის ფილოსოფიური ანთროპოლოგია და ემბერი, რომელიც სოციალური ანთროპოლოგიაა დამატებით მასალაშია. მისი თქმით წინაპირობებთან დაკავშირებით ვერ ამოხსნა თუ რატომ აქვს სასწავლო კურსს „SPSS“ წინაპირობად „ფსიქოლოგიის შესავალი“, ან რატომ არის „თვისებრივი კვლევის მეთოდებისთვის“ „რაოდენობრივი კვლევის მეთოდების“ გავლა აუცილებელი, რადგან, როგორ წესი პირიქით არის ხოლმე, სთოვა განემარტათ თუ ეს არ იყო ტექნიკური ხარვეზი.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ საბჭოს დაუღალავმა მოქმედებამ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით შედეგი გამოიღო და ინსტიტუციები სერიოზულად მოეკიდნენ, რადგან მეორე ინსტიტუციაა, რომელმაც დაიქირავა ორგანიზაცია და კვლევა ჩაატარა, შესაბამისად ეს არ აღმოჩნდა იმ დონის პრობლემა, რომ ქვეყნის ბიუჯეტი უნდა დახარჯულიყო, თუმცა უმჯობესი იქნებოდა დაწესებულებას დამსაქმებლებთან შეხვედრაც ჩაეტარებინა. წინაპირობების შესახებ მან განაცხადა, რომ „სტატისტიკა“ ისწავლება წინაპირობების გარეშე, იმისათვის, რომ წარმოდგენა ჰქონოდა, გადახედა სილაბუსს, სადაც ალბათობის თეორიის ელემენტები არის განხილული, ასწავლიან ხდომილებას და განაწილებას, დაინტერესდა თუ როგორ ხდება ეს ყველაფერი, რას ეყრდნობიან, რადგან სტუდენტს მათემატიკის არანაირი კურსი არ აქვს გავლილი და ნუთუ ყველა ისეთი გონება განათებული მივიდა, რომ მარტივად გაიგო სტატისტიკა. ასევე, სასწავლო კურსს „ეკონომიკური სოციოლოგია“ აქვს წინაპირობა, „სოციოლოგიის თეორია“, თუ ეს სოციალური დისციპლინაა მისაღებია, მაგრამ თუ ეს სოციალური დისციპლინა არ არის და ეკონომიკურია

მაშინ რაიმე ელემენტარული ეკონომიკის საგანი უნდა ჰქონდეს წინაპირობად, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ მოამზადეს სოციოლოგი, რომლისთვისაც ერთი ეკონომიკური დისციპლინაც კი არ უსწავლებიათ, რაც მთლად ზუსტად არ იქნება თანხვედრაში სწავლების შედეგებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, მიმართა, როგორც ექსპერტთა ჯგუფს, ასევე დაწესებულებას, მან განაცხადა, რომ პროგრამის აღწერილობაში, სწავლის შედეგებში, კერძოდ, უნარების ნაწილში არის ჩანაწერი - „დამოუკიდებლად ახორციელებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სოციოლოგიურ კვლევას“. მან სთხოვა ექსპერტს დაეფიქსირებინა პოზიცია აძლევს თუ არა პროგრამის კომპონენტები სტუდენტს კომპეტენციას, რომ დამოუკიდებლად აწარმოოს სოციალოგიური კვლევა თუ დაზუსტება/კორექცია სჭირდება აღნიშნულ სწავლის შედეგს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ემზარ ჯგერენაიამ, საბჭოს წევრს, თამარ ჩხეიძეს, უპასუხა, რომ სიტყვა „დამოუკიდებლად“ ყოველთვის იწვევს პრობლემას საბაკალავრო პროგრამებში, როდესაც სტუდენტს ასწავლიან 4 წელი, რა კომპეტენციას აძლევენ მას, თუმცა 4 წელი სტუდენტი სოციოლოგიას, რომ სწავლობს მას შეუძლია, მაგრამ ძირითად შემთხვევებში იწერება „სუპერვიზია“, „ზედამხედველობა“ და სხვა, მაგრამ თუ 4 წელი სტუდენტი პროგრამას კარგად ითვისებს მას მართლაც შეუძლია მასშტაბური კვლევის ჩატარება, ის ამას შეძლებს, პროგრამას ამ თვალსაზრისით პრობლემა არ აქვს, თუ სტუდენტი და ლექტორი ერთად შეძლებენ იმას, რომ პროგრამა კარგად აითვისოს სტუდენტმა მაშინ შეძლებს დამოუკიდებლად ჩაატაროს თვისებრივი/რაოდენობრივი კვლევები. საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის კითხვის შესახებ მან განმარტა, რომ მას თავის პროგრამაში ეწერა, რაც შემდეგ გახდა პრობლემა, სანამ ადამიანი ისწავლის სოციოლოგიის რაოდენობრივ მეთოდებს, მანამდე უნდა ისწავლოს სტატისტიკა, რადგან სტუდენტი ვერ გაიგებს რაოდენობრივ მეთოდებს, როდესაც პროფესორი დადგება დაფასთან და გამოყენებს სტატისტიკურ ტერმინებს, ამიტომ ჯერ „სტატისტიკა“ უნდა ისწავლებოდეს და შემდეგ „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“, მისი თქმით, თვითონაც იყო საბჭოს წინაშე გამოთქვა აზრი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული, მიუხედავად ამისა, სურს დაიცვას აზრი, რომ სტატისტიკა უნდა იყოს პირველი, ჯერ მათემატიკური ნაწილი და შემდეგ რაოდენობრივი მეთოდები, როგორ მუშაობენ პროგრამები, სკოლა დამთავრებულ სტუდენტს, ითვლება, რომ თუ მათემატიკა აქვს ნასწავლი არ უნდა გაუჭირდეს სტატისტიკის შესწავლა, თვითონ, როდესაც ჩააბარა ფილოსოფიის ფაკულტეტზე დახვდა წიგნი, რომლის სასწავლადაც დიდი ძალისხმევა, რათა ჩაებარებინა გამოცდა, თუმცა შეიძლება სტატისტიკამდე იყოს სხვა სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს გაუადვილებს ამოცანას, აითვისოს სტატისტიკა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ეს პრობლემურად არ მოეჩვენა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განმარტა, რომ როდესაც მათმა თაობამ დაამთავრა სკოლა, მასა შემდეგ პირველი რაც ამოიღეს სასწავლო მასალიდან იყო კომბინატორიკის ელემენტები, სკოლაში აღარ ასწავლიან ნიუტონის ბინომს, წარმოებულს, დიფერენციალს, მის დროს, უნივერსიტეტში სტატისტიკა ასწავლეს 3 სემესტრის შემდეგ, უმაღლესი მათემატიკის დასრულებისას, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრება ლოგიკურია, თუმცა ამჟამინდელი პროგრამა ბადებს კითხვებს, შეძლებს თუ ვერა სტუდენტი დაძლევას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ემზარ ჯგერენაიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შეხვედრა სტუდენტებთანაც, მათ პრობლემა არ დაუფიქსირებიათ, რომ ისინი ამ საგანს ვერ ძლევდნენ. პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ მან განაცხადა, რომ საქართველოში, თსუ-ში 1981 წელს გაიხსნა სოციოლოგიის მიმართულება, თვითონ იყო პირველი, ვინც აიღო სოციოლოგის დიპლომი 5 წლიანი სწავლების შემდეგ, ამ დროს კოლეგები, ვისაც ხედავდნენ, მაგ., სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ყველა მათგანი სწავლობდა ან ახალი დამთავრებული ჰქონდათ ფილოსოფია და სოციალური მეცნიერებები, იმ პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირი ინგრეოდა, კურიკულუმში ერთად იყო, იცნობ მის კოლეგებს, რომლებსაც აქვთ ფილოსოფიური განათლება, მაგრამ კვალიფიკაციაც შეიძინეს ამ სფეროში, რაც გამოვლინდა მათთან გასაუბრებისას და მათ შრომებში, რაც შეეხება ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერებების სიახლოვეს, თუ ფილოსოფიური ფენომენოლოგია არ აქვთ

ნასწავლი ვერ აითვისებენ რაღაც მეთოდებს, ფილოსოფია და სოციოლოგია ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან, ეს ორი სხვადასხვა რაღაც არის, მაგრამ ერთი ქმნის ხედვას, მეორე ამუშავებს ინსტრუმენტებს, ხედვასა და კვლევას ატარებს, სხვა სპეციფიკას ატარებს, მაგრამ ამ სილაბუსებში რაც ნახა, ვერ შეამჩნია, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ შესაბამისი კვალიფიკაცია, ექსპერტთა ჯგუფმა ამაზე იმსჯელეს და ჩათვალეს, რომ კოლეგებმა იმუშავეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესორს ჰქონდათ შრომები სოციოლოგიური სახის, შესაძლებელია ეს არ არის Impact ფაქტორიან ჟურნალებში და ა.შ. გამოქვეყნებული სტატიები, მაგრამ ნამუშევარი ამ სფეროში ნამდვილად ჰქონდათ და ის კვალიფიკაცია/კომპეტენცია აქვთ, რაც უნდა ჰქონდეს სოციოლოგიის პროფესორს, რომ ასწავლოს. ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა წინაპირობებს, იმსჯელეს და არ დაუნახავთ ისეთი კატასტროფული სურათი, რომ დაწესებულების წარმომადგენლებისთვის მათი გადამუშავება მოეთხოვათ, შესაძლებელია რჩევად გაეწერათ.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, განაცხადა, რომ რჩევაში არის დაყენებული საკითხი ინგლისური ენის წინაპირობად დაყენების საკითხი, იგი დაინტერესდა თუ რატომ გაჩნდა აღნიშნული რჩევა, სავალდებულო ლიტერატურა არის ინგლისური თუ რამ გამოიწვია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ემზარ ჯგერენაიამ, აღნიშნა, რომ გამოვიდა პრაქტიკიდან, რომელიც აქვს თავის უნივერსიტეტში, მისი მოსაზრებით, ბაკალავრის დონეზე ინგლისური ენის ამ ფორმით შემოღება კარგი იქნებოდა, ვინაიდან ქვეყანა ინგლისურენოვანი სამყაროსკენ მიისწრაფვის, თუმცა კატეგორიულად არ მოუთხოვიათ, რადგან სოციოლოგები აუდიტორიაშიც იყენებენ ინგლისურენოვან ცნებებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ, „სტატისტიკის“ შესახებ განაცხადა, რომ აღნიშნულ სილაბუსში ძირითადად არის დისკრეტული მოდელები, არ განიხილავენ წრფივ მოდელებს, ფაქტობრივად აღწერითი სტატისტიკაა, ალბათობის თეორიის საკითხებიც არის და შესაბამისად აღნიშნული კურსი არ არის დაუძლეველი, მისთვის საკმარისია, მხოლოდ მათემატიკის სასწავლო კურსიც რადგან რიცხვების შეკრებების წესებზე არის დამყარებული, თუ მანდ იქნებოდა მოდელები, სადაც სიმკვრივე, ინტეგრალი და წარმოებულია საჭირო დაეთანხმებოდა საბჭოს წევრს, თუმცა ამ მოცემულობით მიღწევადია. ინგლისურთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ 4 სემესტრის განმავლობაში იკითხება უცხო ენა, მათ შორის ინგლისური, ძირითადად ინგლისურს სწავლობენ, მათ შორის დარგობრივ ინგლისურს, რომელიც კონკრეტულად ტერმინოლოგიისკენ არის მიმართული.

სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა, ხათუნა ამაღლობელმა, მადლობა გადაუხადა ცენტრს, აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის გაგზავნისთვის, რომლებიც იყვნენ თავისი საქმის პროფესიონალები და გულდასმით წაიკითხეს ყველა ის მასალა, რომელიც რეაკრედიტაციის პროცესში გადაეცა ექსპერტთა ჯგუფს და სწორედ ამ გულდასმით წაკითხვის შემდეგ გაწერეს ის რეკომენდაციები, რომლებიც გაიზიარეს დაწესებულების წარმომადგენლებმა და მუშაობენ მათ შესრულებაზე. მან განაცხადა, რომ, როდესაც საუბარი იყო რჩევაზე, ინგლისური ენის წინაპირობად გაწერის შესახებ, დაწესებულება ამოვიდა იმ მოცემულობიდან, რომ მათთან ინგლისურენოვანი სტუდენტების რაოდენობა გაცილებით მეტია სტუდენტების იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც ირჩევენ სხვა ენებს, და საკმაოდ დიდი რაოდენობაა იმ სტუდენტების, რომლებიც სწავლობენ სხვა ენებს (არა ინგლისურს), ამიტომ იმის აღნიშვნა, რომ ჩაბარდეს ინგლისური და არა სხვა ენები ამ ეტაპზე არ იქნება მიზანშეწონილი. დაწესებულებამ გააძლიერა ინგლისური ენის სწავლების ფორმატი, იმ თვალსაზრისით, რომ თუ წინა პროგრამაზე დარგობრივ ინგლისურს ჰქონდა 3 კრედიტი ახლა აქვს 6, სამი სემესტრის განმავლობაში სტუდენტი იღრმავებს ცოდნას რომელიმე უცხო ენაში მეორე კურსის მეორე სემესტრში სწავლობს დარგობრივ ინგლისურს 6 კრედიტის მოცულობით. სტატისტიკასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ თითოეულ ლექტორთან რამდენჯერმე გადიოდნენ ერთიდაიგივე საკითხს, პედაგოგმა, რომელიც კითხულობს სასწავლო კურსს „სტატისტიკა“ აღნიშნა, რომ წინაპირობად ეყოფა ის ცოდნა, რომელიც სტუდენტმა მიიღო სკოლაში.

დაწესებულების წარმომადგენლებმა დაიწყეს რეკომენდაციებზე მუშაობა, ყველა რეკომენდაცია მისაღებია მათთვის და იზიარებენ ყველა მათგანს.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში ვერ მიიღებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:31
დასრულების დრო: 15:46

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის კომპონენტი 2.6, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომედნებულია თანამდეროვე და პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიების კურსების ფარგლებში გადაიხედოს კვირების მიხედვით განსახილველი საკითხები, ერთი და იგივე ავტორებისთვის რამდენიმე კვირის დათმობის შემთხვევაში კი, განისაზღვროს შესაბამისი ლიტერატურა და/ან დაემატოს სხვა ავტორები (მაგ: მანუელ კასტელსი, ენტონი გიდენსი);
2. რეკომენდებულია კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსების სილაბუსების გამართვა. კერძოდ, განსახილველი საკითხებისა და შესასრულებელი დავალებების იმგვარად განსაზღვრა, რომ ისინი ფოკუსირებული იყოს არა თეორიული მასალის გაცნობაზე, არამედ კვლევის დაგეგმვა-განხორციელებაზე;
3. რეკომენდებულია პროფესიული პრაქტიკის კურსის შინაარსის გამართვა იმგვარად, რომ მისი მიზანი და შედეგები გულისხმობდეს ბაკალავრებისთვის კვლევის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას კვლევით პროექტზე მუშაობის გზით;
4. რეკომენდებულია პროგრამაში ეკონომიკური საკითხების სწავლების უზრუნველყოფა;
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსებისთვის წინაპირობების შესაბამისად განსაზღვრა (მაგ., „სტატისტიკა“, „ეკონომიკური სოციოლოგია“, „კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით)“;
6. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში/სემინარებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი;

7. რეკომენდებულია, დამსაქმებელთა/პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა;
8. სასწავლო კურსებში, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მიხედვით ავითარებს წერილობითი კომუნიკაციის უნარებს, თემისა თუ ანგარიშის პრეზენტაციასთან ერთად რეკომენდებულია ფასდებოდეს ნაშრომის წერილობითი მხარე კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;

რჩევები:

1. სასურველია, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ჩაბარება;
2. პროგრამა გაყოფილია სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კურსებად. შესაძლებლად მიგვაჩნია პროგრამის გაყოფა სამ ნაწილად: სავალდებულო, სავალდებულო-არჩევით და არჩევით კურსებად. ჩვენი აზრით, ეს პროგრამას შესაძლებლობას მეტ მოქნილობას შესძენდა. ასე მაგალითად, სავალდებულო კურსების ჩამონათვალში შესაძლებელია დარჩეს:

- სოციოლოგიის შესავალი;
- აკადემიური წერა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიები სოციოლოგიაში;
- კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში;
- ზოგადი სოციოლოგია;
- პროტოსოციოლოგია;
- კლასიკური სოციოლოგიური თეორიები;
- თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები;
- სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები;
- სტატისტიკა;
- სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები;
- სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი;
- პროფესიული პრაქტიკა;
- პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიები;
- კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით);
- საბაკალავრო ნაშრომი (ასევე შესაძლებელია შევიდეს სავალდებულო-არჩევითი კურსების ჩამონათვალში).

ხოლო სხვა დისციპლინები გადავიდეს სავალდებულო-არჩევითი (აქ შეიძლება შევიდეს დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინები) ან არჩევითი კურსების (ყველა სხვა დანარჩენი) ჩამონათვალში.
3. სასურველია სასწავლო კურსების ნაწილის განახლება უახლესი ლიტერატურითა და კვლევებით;
4.სასურველია კურსში „ფილოსოფიური და სოციალური ანთროპოლოგია“ შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში კურსის სახელწოდებასთან;
5. სასურველია, ანალოგი პროგრამების დადარებისა და გამოცდილების გაზიარების პროცესი იყოს მეტად ფორმალიზებული და მოიცავდეს ინფორმაციას ბენჩმარკის ინდიკატორების და ანალოგიურ პროგრამებთან შესაბამისობის სიღრმისეულ ანალიზს.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 და მე-7 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

15:49 საათზე სხდომა დატოვა ანა ფირცხალაშვილმა.

4. მეოთხე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გურამიშვილის გამზ. №76, თბილისი, 0141, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ეკატერინე ნაცვლიშვილმა და მაკა კაჭარავამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ, განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა დადებითად, შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან მიმართებით, თუმცა კომპონენტი 1.2 და კომპონენტი 2.3 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, აქედან გამომდინარე გაიცა 4 რეკომენდაცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია დაიხვეწოს სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური მიმართება და ასევე დახვეწას ექვემდებარება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) განვითარების ლოგიკა;
2. რეკომენდირებულია საბაკალავრო პროექტის შესრულების მონიტორინგის გაძლიერება, იმისათვის რათა საბაკალავრო ნაშრომის შესრულება მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის მიხედვით - ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მეტად უნდა მოხდეს საბაკალავრო პროექტის შესრულების მონიტორინგი, რადგან უნივერსიტეტს გააჩნია გარკვეული მკაფიო სტანდარტები/წესები და საჭიროა მინიმალური წესების დაცვა, რეკომენდაცია გაიცა საბაკალავრო ნაშრომების შემოწმების შემდეგ;
3. რეკომენდირებულია როგორც საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესში ასევე საბაკალავრო პროექტის სილაბუსში მკაფიოდ იყოს მოცემული საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სტრუქტურა - აღნიშნული რეკომენდაცია ძირითადად კვლევის მეთოდებს ეხება;
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით რეკომენდებულია: სასწავლო კურსს „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“ დაემატოს პრაქტიკული კომპონენტი, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროს ამოცანების გადაწყვეტას Excel-ის გამოყენებით, ასევე დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „სტატისტიკა ტურიზმში“ სილაბუსი და მასში აისახოს Excel-ის სწავლება სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა ხარისხის განვითარების მიმართულებით, სოფიო ხუნდაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსა და შეფასების პროცესში კოლეგიალური დამოკიდებულებისათვის, დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ პოზიცია. პირველი რეკომენდაციაში დაფიქსირებულია ორი

საკითხი, 1. სასწავლო კურსებით მიღწეული სწავლის შედეგების დონეს და ამ სწავლის შედეგების თანმიმდევრობას, საუბარი იყო, რომ რიგი სასწავლო კურსები, რომლებიც ისწავლება უფრო ადრე შესაძლებელია გადიოდეს პროგრამის სწავლის შედეგზე უფრო სიღრმისეულად, ვიდრე სასწავლო კურსები, რომლებიც მის შემდეგ მოდის სასწავლო გეგმაში, დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, ლოგიკურად შესაძლებელია და ამ მხრივ შედეგების მიღწევის საკითხი არ არის დარღვეული, რადგან პროგრამის სწავლის შედეგები საკმაოდ გამსხვილებულია და სწავლის შედეგი შესაძლებელია მოიცავდეს რამდენიმე საკითხს, ყველა სასწავლო კურსი ყველა შედეგზე არ გადის და ერთი კონკრეტული სასწავლო კურსი შეიძლება იყოს პასუხისმგებელი სწავლის შედეგის ნაწილზე და სხვა სასწავლო კურსი იყოს ამავე შედეგის სხვა ნაწილზე, აქედან გამომდინარე სასწავლო კურსი, რომელიც შეიძლება ისწავლება უფრო ადრე, არის შესაძლებელი პროგრამის სწავლის შედეგის რაღაც ნაწილზე უფრო მეტად იყოს პასუხისმგებელი, ვიდრე სასწავლო კურსი, რომელიც ისწავლება შემდეგ, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლები არ თვლიან, რომ დარღვეულია შედეგების მიღწევის ლოგიკა, ამავე რეკომენდაციის აღწერით ნაწილში, გაწერილია, რომ კონკრეტული სასწავლო კურსი კონკრეტულ შედეგებზე გადის გაცნობის დონეზე, მაგრამ პროგრამის დანართი №3, რომელიც იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი პირობებით, სწავლა-სწავლების მეთოდებით არის შესაძლებელი ამათუიმ შედეგზე მაღალი დონით გასვლა იძლევა განსხვავებულ ინფორმაციას, საუბარი იყო „პროექტების მართვის“ სასწავლო კურსზე და მასზე პროგრამის სწავლის შედეგზე გადიან გაცნობის დონეზე. დანართ №3-ში არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „პროექტების მართვის“ შესრულების, როგორც აქტივობის და არა როგორც სასწავლო კურსის, იმავე სწავლის შედეგზე შესაძლებელია გავიდნენ უფრო მაღალი დონით, ეს ორი დანართი ამ მხრივ არ არის კავშირში, დანართი №2 იძლევა ინფორმაციას, სასწავლო კურსი რომელ შედეგზე და რა დონეზე გადის დანართი №3 კი იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდებით ან აქტივობებით, თუ რომელი აქტივობებით არის შესაძლებელი იმ შედეგზე გასვლა, ამ შემთხვევაში ემთხვევა დასახელებები პროექტის მართვა და პროექტის შესრულება, თუმცა საუბარია სასწავლო კურსსა და აქტივობაზე, რა თქმა უნდა აღნიშნული აქტივობა „პროექტების მართვის“ სასწავლო კურსშიც გამოიყენება, მაგრამ გამოიყენება იმ სასწავლო კურსებშიც, რომლებითაც არის უზრუნველყოფილი იმ სასწავლო შედეგების მიღწევა განმტკიცების დონეზე, საბოლოო ჯამში პროგრამის სწავლის შედეგები არის უზრუნველყოფილი განმტკიცების დონეზე. დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული მეორე რეკომენდაცია და გადადგეს გარკვეული ნაბიჯები, თუმცა მათი მოსაზრებით, ზოგადად „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი“ არეგულირებდა აღნიშნულ საკითხებს, წესი მოიცავს დანართს - „ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის ფორმა“, რომელიც განსაზღვრავდა თუ რა კრიტერიუმებით აფასებდა ნაშრომის ხელმძღვანელი საბაკალავრო ნაშრომს, უნდა გადაეცეს თუ არა რეცენზენტს შესაფასებლად, თუ უნდა დაუბრუნდეს სტუდენტს, ამავე ფორმაში შემოიტანეს მექანიზმი, გააჩინეს ველი, სადაც ნაშრომის ხელმძღვანელს ეძლევა შესაძლებლობა მონიშნოს აკმაყოფილებს თუ არა საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის მოთხოვნებს და მეორე ალტერნატივა მონიშნოს, რომ არ აკმაყოფილებს და დაუბრუნდეს სტუდენტს უკან, გადასამუშავებლად, დამატებით მიექცევა აღნიშნულ საკითხს ყურადღება. რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, რომ უფრო დეტალურად გაიწეროს ნაშრომის სტრუქტურა, მან განაცხადა, რომ „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი“ საკმაოდ დეტალურად აღწერს თუ რისგან უნდა შედგებოდეს ნაშრომი, დაწყებული სატიტულო ფურცლიდან, ბიბლიოგრაფიით დასრულებული, აღწერილია თუ რას უნდა მოიცავდეს თითოეული კომპონენტი, თითოეული კომპონენტი დეტალურად აღწერს თუ რას გულისხმობს, მათ შორის ბიბლიოგრაფია, ანოტაცია და ა.შ. მათი მოსაზრებით, ამ ნაწილის უფრო დეტალურად გაწერა არ იქნებოდა ლოგიკური.

„ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია აზმაიფარაშვილმა, პირველი რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ სწავლის პირველი

შედეგი ფართოა და ზოგადად, შედეგები კომპლექსურია, სწავლის შედეგი, სასწავლო კურსთან მიმართებით, მაგ., „კალკულუსთან“, მისი შედეგები ფორმულირდება შემდეგნაირად „ბიზნესის სფეროში კონკრეტული ამოცანის განსაზღვრა, მოთხოვნა-მიწოდების ანალიზი, წარმოების დაგეგმვა, საქონლის გასაყიდი ფასისა და შემოსავლების ოპტიმალური მნიშვნელობების დადგენა“ ასეთი შედეგი პასუხისმგებელია პირველ შედეგთან მიმართებით გაცნობის დონით, ასევე, ასეთი შედეგი, რომელიც უზრუნველყოფს მიღწევას, როგორიც არის ფუნქციონალური მოდელების აღწერა ბიზნესში, დადგენა ბიზნესის სფეროს ეკონომიკური ამოცანებისა და მათემატიკური მოდელების, ბაზრის წონასწორობის პირობების განსაზღვრა, იგივე შედეგთან მიმართებით, როგორიც არის ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, ეს სასწავლო კურსი მიიღწევა ინფორმაციული გარემოს და კონცეფციების აღწერის მიხედვით და ამ ნაწილში გაცნობის დონით გადის პირველ შედეგთან მიმართებით და უზრუნველყოფს, იგივე სასწავლო კურსი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის როლი როგორია ტურისტული ორგანიზაციების განვითარებაში და ტურისტული ადგილების გარემოს დაცვის მოდელების უზრუნველყოფაში. რაც შეეხება პროექტების მართვას, აქ კომუნიკაციების მართვის მატრიცასთან მიმართება გაცნობის დონეზე იყოს, თუმცა შესაძლებელია პროექტების მართვასთანაც დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა.

საბჭოს თავმჯომარის განმარტებით, საბჭოსთვის გასაგებია, რომ მთელი რიგი საგნები, რომლებიც დასკვნაშია წარმოდგენილი, ინსტიტუცია არ იზიარებს აღწერით ნაწილში ჩამოთვლილი სასწავლო კურსების შედეგების მიმართებას პროგრამის სწავლის შედეგებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ პროექტების მართვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არის ასევე სასწავლო კურსი „ბიზნესის საფუძვლები“, „ადამიანური რესურსების მართვა“, დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაესაბუთებინათ პროექტების მართვა სასწავლო კურსი, რომელსაც ასწავლიან PMIPM ჯგუფის 2014 წლის ვერსიით „პროექტების საერთაშორისო სტანდარტებით“ ძალიან კარგი კურსია, როგორ შეიძლება გავიდეს პროგრამის პირველ შედეგზე, რომელიც არის ტურიზმის სფეროს ეკონომიკური მახასიათებლები, ეკონომიკური ზეგავლენა, ფინანსური, პოლიტიკური, სამართლებრივი სოციალურ-კულტურული საკითხების თაობაზე სტუდენტს შეუძლია აღწერა. ასეთივე ანალოგიით შესაძლებელია საუბარი „ბიზნესის საფუძვლებს“, „ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსზე, ხომ არ ფიქრობენ, რომ რუკაში გარკვეული კორექტირებებია გასაკეთებელი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში დაწესებულებას გამოკითხული ჰყავს 7 ორგანიზაცია, დაინტერესდა, რამდენად რელევანტურია და იძლევა თუ არა სრულ სურათს. ასევე, დაინტერესდა, კვალიფიკაციის კოდი არის 1015, ანუ ამზადებენ ტურიზმის ბაკალავრს, კითხვა არ დაისმებოდა რომ გამოეყენებინათ კლასიფიკატორით მინიჭებული უფლება და მართვაზე ორიენტირებული პროგრამებისათვის, როგორიცაა განსაზღვრული, მიენიჭებინათ „ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“, რადგან პროგრამა არის „ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“, ეს იდენტურია ყველა იმ პროგრამისა, რაც არის საქართველოში, მიკრო და მაკრო ეკონომიკა და ბევრი სხვა დისციპლინა, თუ ტურიზმში ბაკალავრს ანიჭებენ სპეციალობაში აღარ გავა, მისთვის გასაგებია, რომ სავარაუდოდ დათვლილი აქვთ, მაგრამ ამ ლოგიკიდან გამომდინარე გადის თუ არა პროგრამა 120 კრედიტზე, თუ ექნებოდა „ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“, მიკრო, მაკრო და ა.შ. სპეციალობისაა, მაგრამ აქვთ ტურიზმის ბაკალავრი, სადაც ისმება კითხვა მიკრო და მაკრო ეკონომიკა რატომ არის სპეციალობა. ჯამურად 160 კრედიტია, ანუ რაღაცეებს თუ გამოხშირავენ, მისი მოსაზრებით დათვლილია და 120 კრედიტზე გავა, ამასთანავე სთხოვა განემარტათ რატომ არის 1015 და პროგრამა დაწერეს „ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, განაცხადა, რომ „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესში“ მკაფიოდ იყო მოცემული საბაკალავრო ნაშრომის პროგრამის სტრუქტურა, წესში, მუხლი 7, დასახელებულია, როგორც საბაკალავრო ნაშრომის პროქტის გაფორმების წესი, თუმცა რას

უნდა მოიცავდეს მისი სტრუქტურა მასში ფიქსირდება, დაინტერესდა, თუ რას ეფუძნება ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია, რატომ მიაჩნიათ, რომ უფრო მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ, განაცხადა, რომ როდესაც შეამოწმეს საბაკალავრო ნაშრომები, სწორედ ამან გაუჩინა მოსაზრება, რომ შეემოწმებინა სილაბუსი, მასში არსებული წესი, რომელიც არ იყო სრულყოფილი, შემდეგ ინსტიტუციამ განმარტა, რომ არსებობს „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი“, რაც თითქმის იგივე იყო, რაც სილაბუსი, პროგრამის ფარგლებში ისწავლება კვლევის მეთოდები, შესაბამისად მისი სწავლებისას ყურადღების ფოკუსირებას ახდენენ კვლევის მეთოდებზე, მიუხედავად იმისა, რომ საბაკალავრო ნაშრომი არ არის კვლევითი კომპონენტი ის ავითარებს კვლევით უნარებს და კვლევის მეთოდები არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს მთლიანობაში კვლევის ვალიდობას/სანდოობას, აქედან გამომდინარე კვლევის მეთოდები არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურაში, შესავალში კი წერია, რომ უნდა ეწეროს კვლევის მეთოდები, თუმცა მეტად უნდა იყოს გავრცობილი საბაკალავრო ნაშრომში, რადგან ნაშრომებში ფაქტობრივად არ იყო მოცემული, ანუ ბაკალავრის დონეზე სტუდენტს არ უვითარდება შესაბამის დონეზე.
უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ, კვალიფიკაციისა და ბაზრის კვლევის შესახებ განაცხადა, რომ ეს არ არის რაოდენობრივი კვლევა, რომლის შედეგების განზოგადება შესაძლებელია გარკვეულ საკითხებზე, ეს არის კვლევა, რომელს მიხედვითაც იღებენ მოსაზრებებს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, მიზნებისა და შედეგების შესახებ, დამსაქმებლები აფასებენ ამ ნაწილებს და გასცემენ რეკომენდაციებს, რჩევებს, მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება იყოს პროგრამა მორგებული ბაზრის მოთხოვნებზე. ამ ნაწილში რა რაოდენობაც არ უნდა იყოს გამოკითხული დაწესებულება იზიარებს და ითვალისწინებს მათ მოსაზრებას, ასევე აქვთ ამის დასადასტურებელი ფაქტები, რომ ითვალისწინებენ პროგრამის შემუშავება/განვითარების ეტაპზე. დაწესებულება ახორციელებდა პროგრამას აღნიშნული კვალიფიკაციით - „ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“, რომელიც მოქმედია, სანამ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი იქნება პროგრამაზე, თუმცა არ აცხადებენ მიღებას, პროგრამის ხელმძღვანელისა და სპეციალისტების მიერ კი ჩაითვალა, რომ ამ კვალიფიკაციის სტუდენტების გამოშვება უფრო რელევანტურია და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამაში, დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ანიჭებდა „ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრს ტურიზმში“ მოიცავდა გაცილებით დიდი მოცულობით საგნებს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ვიდრე ახალი პროგრამა, თუმცა არის სასწავლო კურსები, რომლებიც ჩაითვალა, რომ აუცილებელ სასწავლებლად, იმ კვალიფიკაციისთვის, როგორიც არის მიკრო და მაკრო ეკონომიკა, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პროგრამაზე მუშაობდა საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტი, სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი, მათი მხრიდან რაც ჩაითვალა, რომ აუცილებელი იყო ახალი კვალიფიკაციისთვის ის სასწავლო კურსები დარჩა, თუმცა პროგრამა კვალიფიკაციით „ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“ მოიცავდა გაცილებით დიდი მოცულობით ბიზნეს ადმინისტრირების სასწავლო კურსებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია აზმაიფარაშვილმა, შრომის ბაზრის კვლევასთან განაცხადა, რომ, როდესაც შრომის ბაზრის კვლევა ჩაატარეს ტურიზმის სფეროს ფაქტობრივად ყველა წარმომადგენელს მოიცავდა, მუზეუმები, ტურისტული კომპანია, სასტუმროები, სააგენტოები და თითქმის ყველა მოიცვეს და ამიტომ უფრო ჩათვალეს, რომ შედეგი ჰქონდათ, გარდა ამისა, სხვადასხვა კვლევები არსებობს „საქართველოს ტურისტული ასოციაციის“, „TBC კაპიტალის“, რომლებიც გაითვალისწინეს. ასევე თანხვედრაშია ის, რომ ტურიზმის სპეციალისტის მოთხოვნა ძალიან მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე და არსებობს ადამიანურ კაპიტალში ამის მოთხოვნა, კონკრეტულად უნარებით ტურიზმის მიმართულებთ, დაწესებულების წარმომადგენლებს არაერთხელ უმსჯელიათ კვალიფიკაციაზე, დარგობრივ კომიტეტზე მუშაობისას, სადაც აღწერაშია მითითებული როგორ კვალიფიკაციაზე, რა შედეგებზე უნდა

გავიდეს „ტურიზმის ბაკალავრი“ ან „ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“, ბიზნეს ადმინისტრირების სფეროებს, როგორიც არის „ბიზნესის საფუძვლები“, „მარკეტინგის საფუძვლები“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ და ა.შ. საჭირო და აუცილებელია, თუმცა სასწავლო გეგმაში უმეტესობა არის ტურიზმის დარგის, რომელიც არის ტურიზმის უნარებს განუვითარებს, ამ მხრივ გამტკიცებულია და შეესაბამება დეტალური სფეროს აღწერას და ზუსტად შეესაბამება 1015-ს, ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები მოიცავს ამ მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, მან წაიკითხა მარკეტინგი და ამ საკითხზე საუბარი არ არის, იგი დაინტერესდა მიკრო და მაკრო ეკონომიკაზე, თუ როგორ შევა ტურიზმის ბაკალავრის სპეციალობაში, უმჯობესია დათვლილი ჰქონდეთ და 122 მაინც მიიღეს, წინა პროგრამაში მეტი იყო და ახლა ნაკლებია, ეს რიცხვები არ არის, ნაკლები, რომ არის არაფერს ცვლის, თუ გამორიცხვის შემდეგ 120-ს ქვევით ჩამოვლენ, პასუხი უნდა იყოს შემდეგნაირი, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა გადათვალეს და 120 კრედიტია, რომელშიც მიკრო და მაკრო არ შედის, თუმცა, თუ დოკუმენტში წერია, რომ შედის შეცდომაა, რადგან არ უნდა შედიოდეს, მაგრამ შეცდომა გასწორდება, მთავარია, რომ 120 კრედიტზე მეტი იყოს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია აზმაიფარაშვილმა, დაადასტურა, რომ დათვლილია და არის 120 კრედიტზე მეტი.
უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ, სასწავლო კურსთან „პროექტების მართვა“ დაკავშირებით განაცხადა, რომ ჩამოთვლილი რეკომენდაციებიდან, სადაც პირველი მათგანი ჩაშლილი იყო კონკრეტულ სასწავლო კურსებთან, რომელთა ნაწილის შესახებაც დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია აზმაიფარაშვილმა, განაცხადა, რომ შესაძლებელია დაკორექტირება სასწავლო კურსთან „პროექტების მართვა“ დაკავშირებით.
უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ, „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია იყოფოდა ორ ნაწილად, პირველ ნაწილთან დაკავშირებით დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, მათი მოსაზრებით წესში ნაკლებად არის ცვლილება შესატანი, რადგან დეტალურად არის გაწერილი, სხვა საკითხია დაფიქსირდა თუ არა წესთან შესაბამისობასთან დაკავშირებით პრობლემა, შესაბამისად იმ ნაწილში იზიარებენ და განხორციელდება ცვლილება, სტრუქტურის აღწერა უფრო დაწვრილებით კი შეუძლებელია. საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის, მოსაზრების შესახებ მან განმარტა, რომ დაწესებულებას გამოკითხვა ორ ნაწილად აქვს გაყოფილი, 1. რისი რაოდენობაც ფიქსირდება და 2. ბაზრის კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვა, დაწესებულების წარმომადგენლები გაესაუბრნენ სხვა დამსაქმებლებსაც, ბაზრის კვლევაში დაფიქსირებული დამსაქმებლების გარდა. კვალიფიკაციის შესახებ კი განაცხადა, რომ 120 კრედიტში ჩათვლილია ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც უკავშირდებოდა ძირითადი სწავლის სფეროს და თუ მარკეტინგთან დაკავშირებული საგნები მირო/მაკრო ეკონომიკა, სპეციალისტების მიერ ჩაითვალა ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსად, ანუ აუცილებელია სტუდენტებმა ისწავლონ, რათა მიენიჭოთ აღნიშნული კვალიფიკაცია, ასეთი კურსები შევიდა 120 კრედიტში და მათი ჯამი აღემატება 120 კრედიტს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია აზმაიფარაშვილმა, დასძინა, რომ, მაგ., კალკულუსი არის სტატისტიკის წინაპირობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:33
დასრულების დრო: 16:53

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 4 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია დაიხვეწოს სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური მიმართება და ასევე დახვეწას ექვემდებარება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) განვითარების ლოგიკა;
2. რეკომენდირებულია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
3. რეკომენდირებულია საბაკალავრო პროექტის შესრულების მონიტორინგის გაძლიერება, იმისათვის რათა საბაკალავრო ნაშრომის შესრულება მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის მიხედვით;
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით რეკომენდებულია: სასწავლო კურსს „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“ დაემატოს პრაქტიკული კომპონენტი, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროს ამოცანების გადაწყვეტას Excel-ის გამოყენებით, ასევე დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „სტატისტიკა ტურიზმში“ სილაბუსი და მასში აისახოს Excel-ის სწავლება სპეციფიკის გათვალისწინებით;
5. რეკომენდირებული, საბაკალავრო ნაშრომებში აისახოს რელევანტური კვლევის მეთოდები;

რჩევები:

1. სასურველია უსდ-მ დააზუსტოს პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა;
2. სასურველია უფრო მეტი საბიბლიოთეკო რესურსი გაციფრულდეს, მოცემული პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით და ასევე მნიშვნელოვანია სამომავლოდ დამატებითი პერსონალური კომპიუტერებით აღიჭურვოს აღნიშნული სივრცე;
3. სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში;
4. სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა ელექტრონული პორტალის ფუნქციონირებას, უზრუნველყოს მისი მუდმივი მხარდაჭერა და განახლება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის

პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის მაგისტრი/Master of Oil and Gas Technology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0724 - სამთო საქმე და მოპოვება 0724 - Mining and Extraction
12	სწავლების ენა	რუსული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. №77, თბილისი, სასწავლო კორპუსი №3, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო დონდოლაძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა გამორჩეულია, პროგრამის აკადემიურ პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, ასევე, პროფესორებს აქვთ საერთაშორისო/ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობის კარგი გამოცდილება და დიდი ნაწილი პროექტებში პრაქტიკულ მონაწილეობასთან ერთად ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას წამყვან დამსაქმებელ ორგანიზაციებში წამყვან თანამდებობებზე, რაც ძალიან დიდი პლიუსია პროგრამისთვის, სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს ისეთი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც მდიდარი სამეცნიერო სტაჟი და გამოცდილება აქვს, აღსანიშნავია მისი სამეცნიერო მიღწევებიც. დაწესებულება თავის მხრივ ხელს უწყობს განმახორციელებელ პერსონალს ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების საჭიროებისას უზრუნველყოფს ფინანსურ დახმარებას და ა.შ. აღნიშნული პროგრამა ძალიან ხელშესაწყობი და მნიშვნელოვანია, რადგან მოიწვევს ისეთ არაქართულენოვან სტუდენტებს/მაგისტრანტებს, რომლებიც მრავლად არიან თბილისის შემოგარენში და საქართველოში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ემსახურება პროგრამის განვითარებას, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნიდან ამოიღო რამდენიმე რეკომენდაცია, რამდენიმე გააერთიანეს და რამდენიმე გადაიტანეს რჩევაში, რადგან ამ შემთხვევაში დაწესებულების პოზიცია მეტად დამაჯერებელი იყო.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
რეკომენდაცია 1. (სტანდარტი 1.2): რეკომენდებულია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ - უნივერსიტეტმა გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია, „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ კომპონენტი მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისთვის. თუმცა ამ მომენტისთვის, ვფიქრობთ, არაა აქტუალური მსგავს მიდგომაზე აპელირება რეკომენდაციის სტატუსით. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი მეტ სინათლეს შეიტანს ამ საკითხთან დაკავშირებით პროგრამაში და ეს რეკომენდაციაც შესაძლებელია გადავიდეს რჩევათა კატეგორიაში;
რეკომენდაცია 2. (2.2. სტანდარტი): მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ სასწავლო კომპონენტი გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები - უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას, მაგრამ ამ მიგნებას მჭიდრო

კავშირი აქვს 2.3 სტანდარტის ერთ-ერთ რეკომენდაციასთან „კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსის შემოღებასთან, მით უფრო, რომ სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურად შესრულება კვლევის მეთოდებით მიიღწევა, რის გამოც ჩაითვალა, რომ საჭიროა დასკვნაში მცირედი ცვლილების შეტანა. სახელდობრ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის პასუხის გათვალისწინებით, უმჯობესია, ამ ორი მიგნების გაერთიანება 2.2 სტანდარტის რეკომენდაციაში: მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ და/ან „პროექტის შემუშავების“ შესახებ სასწავლო კურსები გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები;

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს განუმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი იცნობდა ყველა რეკომენდაციას და არ იყო საჭირო წაკითხვა, უმჯობესი იქნებოდა რეზუმირებული ფორმით წარმოედგინა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო დონდოლაძემ, ისაუბრა შემდეგ რეკომენდაციებზე:

კომპონენტი 2.1:

1. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იმ აპლიკანტებისთვის, რომლებსაც არ დაუსრულებიათ ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული, სხვა პროგრამა ადეკვატური ცოდნისა და უნარების დადასტურების მიზნით - პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას;

კომპონენტი 2.2:

2. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ და/ან „პროექტის შემუშავების“ შესახებ სასწავლო კურსები გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები - დაწესებულებამ გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია;

3. მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში და სამაგისტრო პროგრამაში მოცემულ სასწავლო გეგმაში სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით მცირე უზუსტობის აღმოიფხვრა (სასწავლო კურსები): სავალდებულო – 76ECTS, არჩევითი - 14 ECTS. კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS, ხოლო სამაგისტრო პროგრამის აღწერაში კი ასეა გაწერილი: სავალდებულო – 75ECTS. არჩევითი - 15 ECTS, კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS - აღნიშნული რეკომენდაცია მართივად გასასწორებელია და შესაძლებელია მისი რჩევაში გაწერა, თუმცა რადგან აუცილებლად უნდა შესრულდეს ამიტომ გაწერეს რეკომენდაციად;

კომპონენტი 2.3:

4. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებდეს „შრომის უსაფრთხოების“ სასწავლო კურსს სწავლის შედეგების სრულად უზრუნველყოფისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით - დამსაქმებელის მოთხოვნით მოხდა აღნიშნული სასწავლო კურსის განერგვის რეკომენადაციაში გაწერა, აღნიშნული სასწავლო გეგმის წაკითხვის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს დარჩა შთაბეჭდილება, რომ თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს შრომის უსაფრთხოების საკთხებს და ამიტომ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება საკმარისია, რომ მაგისტრანტს განუვითარდეს შესაბამისი უნარები;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ხათუნა მხეიძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში მათ ყავდათ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები, რომლებიც ინტენსიურად ითხოვდნენ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას და სწორედ ამიტომ გახდა საჭირო აღნიშნული პროგრამის წარმოდგენა და მომზადება, მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებელთა ჩართულობა შრომის უსაფრთხოების საკითხებთან

დაკავშირებით. მან ისაუბრა, თუ რატომ ჰქონდა უნივერსიტეტს განსხვავებული შეხედულება ექსპერტთა ჯგუფისგან, რადგან პროგრამაში არსებულ სასწავლო პროგრამაში შრომის უსაფრთხოების საკითხები საკმაოდ ჩაშლილია და ეს არაერთ საგანთან მიმართებაში საჭიროებს უსაფრთხოების, ტექნიკის, ჭაბურღილებისა თუ სხვა ექსპლუატაციისა თუ გამოკვლევისას, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია და ასახულია უმეტეს სასაწავლო კურსებში, შესაბამისად აღარ გახდა სჭირო ცალკე გამოსულიყო სასწავლო კურსის სახით. დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს ნაწილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, შალვა კელეპტრიშვილმა, განაცხადა, რომ მასსაც შეუფასებია ინსტიტუციები და არასდროს მიუცია საკუთარი თავისთვის უფლება ასეთი მაღალი შეფასება დაეწერა პერსონალის კვალიფიკაციის ისეთი მაღალი შეფასება, როგორც ექსპერტთა ჯგუფს აქვს გაწერილი საუკეთესო პრაქტიკის ნაწილში. დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი პოზიცია არის შრომის უსაფრთხოების სასწავლო კურსის შესახებ, აქ იყო კატეგორიული მოთხოვნა და გამოტანილი იყო რეკომენდაციაში, მისთვის უცნობია, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის საუბრიდან გამომდინარე ისეთი მკაცრი მოთხოვნა აღარ არის. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ხედავს საფრთხეს აღნიშნული სილაბუსის შემოტანით, რადგან ბაკალავრიატის პროგრამაში აქვთ მსგავსი სილაბუსი და მაგისტრატურაში უკვე საგნებშია ჩაშლილი, წინა წელს დაწესებულების აღნიშნულმა ფაკულტეტმა 5 სამაგისტრო პროგრამა წარადგინა, უმეტესობა იყო ინჟინერიის პროგრამა, მათ შორის ქართულენოვანი „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, არცერთ პროგრამაში „შრომის უსაფრთხოება“ ცალკე სასწავლო კურსად გამოტანილი არ ყოფილა, ამიტომ თუ მეტი არგუმენტაციაა საჭირო, მას შეუძლია საუბრის გაგრძელება, თუმცა აქ ყველაფერი ჩაშლილია კურსებში, მთავარი სასწავლო კურსი არის საწარმოო პრაქტიკა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიებში“ და იქაც დიდი დოზით არის, რადგან პიროვნება მიდის პრაქტიკაზე, სილაბუსშიც გაშლილია თუ როგორ დაიცვას უსაფრთხოების წესები, ფაკულტეტის წარმომადგენლები წინააღმდეგები არიან აღნიშნული სასწავლო კურსის ჩასმისა. რადგან ებრძვიან დუბლირებებს/გადაფარვებს და ამ შემთხვევაში ცალსახად დუბლირება გამოვა. კომპონენტი 2.5-თან გაცემულ რეკომენდაციასთან (რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით; ასევე, ნათლად და ცალ-ცალკე ჩანდეს სწავლების მეთოდები და აქტივობები) დაკავშირებით მან განაცხადა, რომ სტუდენტი გადის 18 საგანს, რომლებშიც დაახლოებით წარმოდგენილია სწავლა-სწავლების 13 მეთოდი, ექსპერტთა ჯგუფი ითხოვს შემდეგი მეთოდების გამოყენებას: გონებრივი იერიში, სოკრატესეული შემთხვევის ანალიზი, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული სავარჯიშო, დაწესებულებას გამოყენებული აქვს აღნიშნული მეთოდების ნაწილი, მაგ., ექსპერტთა ჯგუფი წერს, რომ გამოიყენონ „შემთხვევის ანალიზი“ მათ კი უწერიათ „შემთხვევის შესწავლა“, რაც ერთიდაიგივეა. მისთვის მიგნება იყო „სოკრატესეული შემთხვევის ანალიზი“, რასაც დეტალურად გაეცნო და ტექნიკურ დარგებში აღნიშნული მეთოდოლოგია ნაკლებად დამჯერებელია, სადაც ცვლის ინდუქცია, დედუქცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. სწავლების მეთოდებისა და აქტივობების შესახებ მან განახადა, რომ როდესაც წერენ პროგრამას ეყრდნობიან საქართველოს განათლებისა და მეცნერების მინიტრის ბრძანება №3-ს, ტერმინთა განმარტება მუხლი ტ, სადაც პირდაპირ არის ჩამოთვლილი რომელია სწავლა-სწავლების მეთოდი და რომელია შესაბამისი აქტივობა, ექსპერტების მოსაზრებით „დისკუსია“ არ არის აქტივობა, ბრძანებაში კი გაწერილია, როგორც აქტივობა, ტერმინთა შეუსაბამობაა. კომპონენტი 2.6 გაცემულ რეკომენდაციასთან (რეკომენდებულია, დაიგეგმოს სასწავლო კურსების („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“, „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“, „საბადოების დამუშავების მართვა“, „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები,“ „გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია“ და სხვა) სილაბუსით განსაზღვრული აქტივობები მათი შეცვლა-შემცირების გზით ისე, რომ შეფასება სემესტრის განმავლობაში

რეალიზებადი იყოს) დაკავშირებით მან განმარტა, რომ დაწესებულებას სურს მობილიზებული სტუდენტები, ამიტომ შეფასება არ არის თვლადი, ეს არის ხარისხი, თუ ლაბორატორიულში 1 კვირა არის 1 ქულა, იმ კვირას მთავრდება საკითი და დამატებით თეორიული შეფასება მოდის, ექსპერტები ამბობენ, რომ შეუძლებელია ამდენი შეფასება დაადასტურონ სტუდენტებმა, დაწესებულება საკმაოდ წარმატებულად მუშაობს ამ პრინციპით, შესაბამისად ვერ გაიზიარებენ აღნიშნულ რეკომენდაციას, საბოლოოდ ეს გადის პროფესორის აკადემიურ თავისუფლებაზე. კომპონენტი 5.1-თან გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდებულია, დაიხვეწოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მეტი ეფექტიანობის მისაღწევად ცალ-ცალკე შეფასდეს სასწავლო პროცესი, კურსები და პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობა; ასევე, ყოველ სემესტრული შედეგების თაობაზე სისტემატურად მიეწოდოს ლექტორებს ინფორმაცია) შესახებ მან განაცხადა, რომ რეკომენდაციის აღწერით ნაწილში განმარტებულია, როგორც „დოკუმენტაციის გაცნობიდან ირკვევა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწის საჭიროება. საქმე ისაა, რომ სტუდენტთა მხრიდან სასწავლო პროცესის შეფასებისას უნდა გაიმიჯნოს ხარისხის შეფასების ფორმები და ცალ-ცალკეა შესაფასებელი როგორც სასწავლო კურსები, ისე პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობა“, დაწესებულებას ისედაც ასე აქვს, საბჭოს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უამრავი პროგრამა მიუღია და ყველგან ასეა გაკეთებული, ვინაიდან სტუდენტები ჯერ არ ყავთ კითხვარები არც წარუდგენიათ და შესაძლებელია ეს იყოს ტექნიკური ხარვეზი. კომპონენტი 5.3-ში გაცემულ რეკომენდაციასთან (რეკომენდებულია, აქცენტები გაკეთდეს მონიტორინგის ღონისძიებების დახვეწაზე, პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-შევსებაზე, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების, კვლევების აკადემიური სტანდარტების დახვეწასა და სილაბუსების ფორმალური მხარის დაცვის შეფასებაზე) დაკავშირებით, მან განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობაში დეტალურად გაიწერა რა ფუნქციები/მოვალეობები აქვს პროგრამის ხელმძღვანელს, რომ წელიწადში ერთხელ უნდა წარმოადგინოს ანგარიში და სხვა, ყველაფერი იქ არის ინტეგრირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია რეკომენდაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ და შრომის უსაფრთხოების შეაახებ. საბჭოს წევრი დაინტერესდა.

(ა) - როგორც პროგრამიდან ჩანს, მას აქვს მისაღები გამოცდა სპეცილობაში. არის თუ არა საგამოცდო თემებში ასახული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ბაკავრიატის სპეციალობის ძირითადი ნაწილიდან. ეს იმ მიზეზით, რომ თუ ბაკალავრი გადაწყვეტს მოხვდეს ნავთობის პრგრამაზე არა ნავთობის, არამედ ნავთობის მონათესავე მიმართულებიდან (მაგ. სამთო და გეოინჟინერია, ან სხვა) დაშვების წინაპირობაში გამოცდა უნდა მოიცავდეს ასეთ თემებს, რათა შემდგომ სტუდენტმა პროგრამა დაძლიოს და გავიდეს იმ შედეგებზე, რაც არის დასმული სამაგისტრო პროგრამაში.

(ბ) - ნავთობის პროგრამაში ხორციელდება და შეისწავლება ხუთი ძირითადი მიმართულება: 1-ძებნა-ძიება-მარაგების გამოთვლა; 2-ბურღვა; 3-საბადოს დამუშავება-ექსპლუატაცია 4-ტრანსპორტირება 5-შენახვა. გაქვთ, თუ არა ყველა ამ მიმართულებაში ჩაშლილი შრომის უსაფრთხოების საკითხები, თუ უმჯობეია მისი ცალკე გამოყოფა.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა, დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამაში არის ჩანაწერი, რომელიც გულისხმობს მაგისტრატურაში, ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელებას და დაშვების წინა პირობების პირველ ნაწილში მითითებულია, რომ აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული), მისთვის გაუგებარია თუ რა საჭიროა, როდესაც პროგრამა რუსულენოვანია, ასევე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს არა სახელმწიფო ენაზე სწავლისას აუცილებელია აპლიკანტი ფლობდეს რუსული ენის B2 დონის სერტიფიკატს, დაინტერესდა, რომ თუ ზევით საუბარია პირებზე, რომლებიც აბარებენ ერთიან სამაგისტრო გამოცდას, საიდან არის გამოწვეული უცხო ენების

საჭიროება, და არის თუ არა შესაძლებელი ჩაირიცხონ დაინტერესებული პირები, რომელთაც არ ექნებათ ერთიანი სამაგისტრო გამოცდა ჩაბარებული და ხო არ არის შესაძლებლობა, რომ ზოგიერთ პირს შეეძლოს სწავლის გაგრძელება რუსული ენის სერტიფიკატის გარეშე, დაინტერესდა თუ რა იგულისხმებოდა წინაპირობების დაზუსტებაში. ასევე, დაინტერესდა, თუ არიან მსურველები საბაკალავრო პროგრამის შემდეგ რუსულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა და სად მოხდება მათი პრაქტიკული მომზადება, რომელ ორგანიზაციებში, რა ტიპის პრაქტიკაზეა გათვლა, რომელი ქვეყნის მოქალაქეებზე. პროგრამის მიზანია, რომ მომზადდეს ამ მიმართულებით კვალიფიციური კადრი და შრომის ბაზრის შესაბამისად არის წარმოდგენილი, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ პროგრამის მიზანი, რა კვალიფიკაციის კადრის მომზადებაზეა საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შრომის ბაზრის ანალიზი, სადაც 12 რესპოდენტია გამოკითხული, სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლები, მან ვერსად ნახა არგუმენტი-მტკიცებულება, საჭიროება რუსულენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულების შესახებ, შრომის ბაზრის დოკუმენტში ზოგადად არის მითითებული, რომ ითხოვს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს, დაინტერესდა ერთი კვლევით გაკეთდა ყველა პროგრამაზე, თუ წინა პროგრამაზე ჩაატარეს და ეს შედეგი გამოიტანეს პროგრამის საჭიროების დასასაბუთებლად, რატომ მაინცდამაინც რუსულენოვანი პროგრამა, რადგან ეს არ იკვეთება პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ გამოკითხულია 9 რესპოდენტი და საუბარია იმაზე, რომ პროგრამა რუსულენოვანია, რადგან კურსდამთავრებულები სამუშაოდ უნდა წავიდნენ სხვა ქვეყნებში, საქართველოში არ სჭირდებათ რუსულენოვნები და მაინცდამაინც არც ნავთობით/გაზით მდიდარი ქვეყანაა და მითუმეტეს რუსულენოვანი საჭირო არ იქნება, ალბათ ეს მზადდება ყაზახეთისთვის, აზერბაიჯანისთვის, თურქმენეთისთვის, რუსეთისთვის, ამიტომ სთხოვა დაეზუსტებინათ საიდან გამომდინარეობდა რუსულენოვანი კადრების მოთხოვნა. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ეწერა „სტუდენტი თუ მოვა“, დაინტერესდა თუ არ მოვიდა საიდან დაფინანსდება აღნიშნული პროგრამა, რადგან თუ ორიენტირებულნი არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, ისინი ეროვნული გამოცდის გარეშე ჩაირიცხებიან.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევის 9 რესპოდენტი ვერ მისცემს დაწესებულებას იმ ვალიდურ შედეგებს, რომელზე დაყრდნობასაც შეძლებს, მისი მოსაზრებით, ბაზრის კვლევა არ გულისხმობს მხოლოდ დამსაქმებლის ან პოტენციური დამსაქმებლის კვლევას, გულისხმობს იმასაც, თუ რამდენად არის ბაზარზე საჭირო/მოთხოვნადი ის კვალიფიკაცია, რომლის სწავლებაც უნდა დაწესებულებას. მან განმარტა, რომ არცერთი ენის წინააღმდეგი არ არის, სადაც ხელმძღვანელობს და ასწავლის თსუ-ში მასობრივ კომუნიკაციებზე სულ 3 პროგრამაა დარჩენილი და ერთ-ერთი სადაც რუსულად ხდება სწავლება, თუმცა არგუმენტი არის ის, რომ რეგიონში კომპაქტურად დასახლებული არაქართულენოვანი მოსახლეობა არ იყვნენ პროპაგანდის მსხვერპლი და შეეძლოთ გადმოყვანა, ასწავლიან ქართულს. დაინტერესდა ამზადებენ კადრებს ადგილობრივი ბაზრისთვის, რადგან ნაწილმა ქართული არ იცის და ორიენტირებულნი არიან ამ ხალხზე, რომ განათლება მიიღონ, თუ რომ გავიდნენ ქვეყნიდან და სხვაგან მოსინჯონ ძალები, თუ ასეა მაშინ გარკვეული მოლაპარაკებები, კონტაქტები, ბენჩმარკინგი უნდა ჰქონდეთ და იმ დამიანებთან თუ ვერ ჩაატარებდნენ კვლევას რაღაცა ტიპის დოკუმენტი უნდა ჰქონდეთ, რაც დაადასტურებს მოთხოვნას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, კომპონენტი 3.1-ში გაცემულ რეკომენდაციასთან განაცხადა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული იყო ფაკულტეტის ბმული, სადაც ასე მარტივად არ იძებნებოდა, თუმცა წერდნენ, რომ მიმდინარეობს პროცესი, დაინტერესდა თუ რა ეტაპზეა აღნიშნული პროცესი, კერძოდ სწავლის მარეგულირებელ დოკუმენტებზეა საუბარი, თუმცა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს ბევრი რუსულენოვანი პროგრამა აქვს და წესით მოწესრიგებული უნდა ჰქონოდათ აღნიშნული დოკუმენტაცია.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, შალვა კელეპტრიშვილმა ვებ გვერდთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიდის რეორგანიზაცია, მასალები გადატანილია მის ფაკულტეტზე და შენახულია, ეს არის „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“, „სწავლა-სწავლების მეთოდები“, „სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები“ და „სასწავლო კვლევითი პროექტის შეფასების წესები მაგისტრატურაში“, აღნიშნული დოკუმენტები უკვე გამზადებულია და დევს ვებ გვერდზე.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა, დაინტერესდა იყო თუ არა აღნიშნული დოკუმენტაცია ნანახი ექპერტთა ჯგუფის მიერ, ვიზიტი შემდეგ აისახა, თუ როდის მოხდა აღნიშნული პროცესი.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აღნიშნული ფაილები დიდიხანია, რაც ვებ გვერდზე დევს და ექსპერტთა ჯგუფსაც ჰქონდა ინფორმაცია ამის შესახებ. დაშვების წინაპირობის შესახებ მისი განცხადებით, გაწერილია, რომ სავალდებულოა უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტი უნივერსიტეტში მისვლის შემდეგ აბარებს ორ გამოცდას: უცხო ენას და სპეციალობას, ანუ უცხო ენის სერთიფიკატი სჭირდება იმ შემთხვევაში, რომ არ ჩააბაროს უცხო ენა, დანარჩენი გამორიცხულია, პროგრამის პირველივე გვერდზე წერია, რომ პროგრამა არის რუსულენოვანი და თუ ვინმე მიდის, ვისაც რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამა არ აქვს დამთავრებული, მან უნდა წარმოადგინოს B2 დონის შესაბამისი რუსულის სერტიფიკატი, ვერავინ მივა რუსულის ცოდნის გარეშე.

საბჭოს წევრის, ნიკა თიკანაშვილის, განმარტებით ინგლისურენოვან პროგრამაზე არის მოთხოვნა ინგლისური ენის სერტიფიკატის, დაინტერესდა თუ რითია გამოწვეული რუსულენოვან პროგრამაზე გერმანული/ფრანგული ენის სერტიფიკატი.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ პროგრამაში ორი საგანი არის არჩევითი, „ბიზნეს კომუნიკაცია“ და „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ ეს არის უცხოენოვანი სასწავლო კურსები ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად, სტუდენტმა რომ ისწავლოს აღნიშნული საგანი, უნდა ჰქონდეს გარკვეული ენობრივი დონე.

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი, დაინტერესდა არის თუ არა რუსულად ტექსტების თარგმნა, ანუ შეუძლია აირჩიოს სხვაც.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დაადასტურა საბჭოს წევრის მოსაზრება. რაც შეეხება სპეციალიზაციის გამოცდას, საკმაოდ დატვირთულია საკითხებით, აპლიკანტი აბარებს ცენტრში და აბსოლუტურად ყველა სფეროს/მიმართულებას მოიცავს, რადგან „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ ეს არის ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიება, მისი ჭაბურღილებით ბურღვა, შემდეგ მისი მოპოვება და ტრანსპორტირება, ყველა ტექსტი, ყველა საკითხი შედის, მათ შორის შრომის უსაფრთხოებიდან საკითხებიც შედის, ასე რომ ტესტი მრავალფეროვანია და დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, თუ აპლიკანტი დაძლევს მას უკვე უნარი აქვს, რომ გააგრძელოს სწავლა. რაც შეეხება პროგრამას, „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამას დაწესებულება უკვე 10 წელია ახორციელებს, 2012 წლიდან, ამ ეტაპზეც კი, პანდემიის გათვალისწინებით პირველ კურსზე ჰყავთ 11 სტუდენტი, წინა წლებში კი 25-30 და მეტიც კი იყო, ასე, რომ სტუდენტებს ინარჩუნებენ, როდესაც დადგა საკითხი სამაგისტრო პროგრამის შემუშავების, არანაკლები წვლილი იყო მათი პროგრამის კურსდამთავრებულების, როდესაც სამინისტროში წარადგინეს განაცხადი, რათა უფლება მიეცათ პროგრამის განხორციელებისთვის, წერილს თან ახლდა ათეულობით სტუდენტის ხელმოწერა, რომ გაიარეს საბაკალავრო პროგრამა, დაამთავრეს და თუ უნივერსიტეტს ექნება აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის განხორციელების უფლება, აუცილებლად გააგრძელებენ სწავლას, ეს იყო სტუდენტების მოთხოვნა, დაწესებულება ფლობს მოთხოვნებსა და რეალურ სიტუაციას, ეს პროგრამა ფაქტობრივად აძლევს საშუალებას საერთაშორისო მასშტაბზე გავიდნენ, რადგან უნივერსიტეტს ძალიან დიდი სკოლა ჰქონდა ათწლეულების მანძილზე და სურთ ეს ნიშა შეინარჩუნონ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ნავთობის ქვეყანა,

დაწესებულებას სურს, რომ თავისი ნიშა დაიჭიროს რეგიონში, რადგან საბაკალავრო პროგრამებზე ძირითადად არიან აზერბაიჯანიდან, ეგვიპტიდან, სირიიდან და სხვა ქვეყნებიდან, დაწესებულებას სურს თავისი ნიშა დაიჭიროს კონკურენციაში. პროგრამის აკრედიტაციის პროცესში, დაწესებულებას აზერბაიჯანის ერთ-ერთმა უმსხვილესმა უნივერსიტეტმა სამინისტროს მისწერა წერილი, რათა დაეკავშირებინათ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან კავშირის დამყარება, რომ ერთობლივი ურთიერთობები დაამყარონ, რაც პანდემიის გამო დროებით შეწყვეტილია, თუმცა ჩამოსვლა უნდათ მოსალაპარაკებლად, აღნიშნული წერილი დევს დოკუმენტაციაში, აღნიშნული დიდი სტიმულია უნივერსიტეტისთვის, რადგან ექნებათ საშუალება პროფესორებიც კი მოიწვიონ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნინო დონდოლაძის, განმარტებით დამსაქმებლებმა გამოხატეს ძალიან დიდი მზაობა იმისთვის, რომ მიეღოთ რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებული მაგისტრები, რუსულენოვანი კომპანიები, რომლებიც მუშაობენ აქვთ მზაობა, რაც გამოიკვეთა ვიზიტის პროცესში.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მათი კომპანიები გარდა იმისა, რომ საქართველოში მოღვაწეობენ, ასევე ოპერირებენ შუა აზიაშიც, მისი ინფორმაციით ექსპერტებთან გასაუბრებაზე პირდაპირ თქვეს, რომ ისინი დიდი სიხარულით წამოვიდნენ აღნიშნულ პროგრამაზე. რაც შეეხება 9 კომპანიას, ეს არ არის პატარა ციფრი.

საბჭოს თავმჯდომარის განმატებით, არ იყო საუბარი პატარა ციფრზე, კითხვა ეხებოდა მოსაზრებას, რომ კვლევაში არ ჩანდა რუსულენოვანი პერსონალის საჭიროება.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ქართულენოვანი პროგრამიდან არაფერი გამოუყენებიათ, საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე, ყოველთვის კრიტიკულად უდგებოდა, რომ მათ გამოკითხვებში არ იყო იდენტიფიცირებული დამსაქმებელი, ყოველთვის იყო ვიღაც უცხო, რომელზეც ისმებოდა კითხვა თუ რატომ ასაიდუმლოებდნენ, ახლა კი გაასაჯაროვეს პირის სახელი-გვარი და სამუშაო ადგილი, ყველასი ცნობილი, ეს არის ცალკე გამოკითხვები, რომლებიც ამ პროგრამაზე ჩაატარეს დაინტერესებულ პირებთან,

ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, კომპონენტი 2.1-თან დაკავშირებით, განმარტა, რომ მისი ერთ-ერთი მოსაზრება იყო, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმაც გაიზიარა, რომ პროგრამაზე არიან დარგის გამორჩეული/განსაკუთრებული წარმომადგენლები, რაც საუკეთესო პრაქტიკად ჩაითვალა, რომ სტუდენტებს პირველწყაროებთან აქვთ შეხება, აქედან გამომდინარე, აისახა საუკეთესო პრაქტიკაში და გამოადგებათ სხვა დაწესებულებებსაც, რუსულ ენაზე გაცემული იყო პატარა რჩევა, დაზუსტების თვალსაზრისით, რეკომენდაცია უკავშირდებოდა მხოლოდ დაშვების წინაპირობებს, რომელიც ეხებოდა იმ აპლიკანტებს, რომლებმაც შესაძლებელია დაასრულონ სხვა ბაკალავრიატი, ესეთი შეიძლება იყოს 2-3, მათთვის რომ იყოს დაზუსტებული და ამოვიდნენ სამი ძირითადი გარემოებიდან: 1. სფეროს სპეციფიკიდან, რომელსაც ხაზი გაუსვა ჯგუფში არსებულმა დარგის სპეციალისტებმა, კერძოდ, შესაძლებელია ოპერირება გაუჭირდეს ისეთი ბექგრაუნდის წარმომადგენელს, ისეთი პროგრამის სტუდენტს, რომელიც მომიჯნავე სფეროსაც კი არ უკავშირდება, თუმცა ის საგამოცდო საკითხები და ტესტები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა ნახა, შესაძლებელია 1-2 თვეში დაიმახსოვროს აპლიკანტმა, რადგან დახურული კითხვებია, თუმცა ღია კითხვებიც რომ ერთვოდეს, რათა ცოდნა და უნარები უფრო მეტად იყოს გამოხატული, სწორედ ეს იყო ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია. რამდენადაც ინტერვიუზე გამოითქვა იყო მზაობა ამასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად ასეთი ტესტების არსებობისა, ჰქონდათ მზაობა ღია კითხვების შემოტანისთვის, ეს მზაობა კარგია, ექსპერტთა ჯგუფი ასე აფასებს და ფიქრობენ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდება.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დასძინა, რომ აღნიშნული ევალება საგამოცდო ცენტრს.

ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, განმარტა, რომ დასახელებული იყო ანალოგი პროგრამები და მათ მხოლოდ იმ ანალოგიური პროგრამებიდან აიღეს 2-3, ისიც დარგის სპეციალისტების

მოთხოვნებიდან გამომდინარე და ამიტომ გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია, რომ დაეხმაროს იმ სტუდენტებს, რომლებიც მიდიან პროგრამაზე, თითქმის მიზერული, პროცენტული ოდენობით, მაგრამ მაინც შეიძლება მივიდნენ და იყვნენ განსახილველი პროგრამის ბენეფიციარები. რაც შეეხება, აქტუალობასა და რუსულ ენას, ამ კითხვას ელოდა ექსპერტთა ჯგუფი და ამ ტიპის ზოგადი კითხვა დაისვა ინტერვიუს დროსაც, მაგრამ დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს დაასკვნეს, მათი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ რუსულენოვანი პროგრამა ყოფილიყო საქართველოშიც, რადგან მათი საჭიროებებიდან გამომდინარეობდა ესეც. გარდა ამისა, აღნიშნულ პროგრამას ყავს ორი ტიპის ბენეფიციარი: 1. უცხოელები, 2. რომელშიც ეროვნული კომპონენტი დევს და არ არის უგულებელსაყოფი, საყურადღებოა, რადგან ქართველები გადახვეწილნი არიან რუსეთში და ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს ქართველებს, რომლებიც გადაიხვეწნენ გარკვეული საჭიროებებიდან გამომდინარე, დააბრუნონ, როგორი სტუდენტებიც ინტერვიუს დროს ნახეს, და ხელს შეუწყობს, რუსულენოვანი პროგრამის არსებობას, აღნიშნული თვალსაზრისით პროგრამა აქტუალურია და ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადებითად არის შეფასებული მიუხედავად იმ რეკომენდაციებისა, რომლებიც გაწერილია დასკვნაში. კომპონენტი 5.1-ში რეკომენდაცია გაიწერა, რადგან დაწესებულებამ წარმოადგინა აქტი, სადაც ერთი სიტყვაც კი არ არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომზე, აუცილებელია მისი ასახვა აქტში, ცხადია ამ რეკომენდაციას ეთანხმება დაწესებულება, რაც არგუმენტირებული პოზიციიდანაც ჩანდა, ისევე როგორც პროცენტული ოდენობის მიხედვით, ნიშნულები აღებულია შედარებით მაღალი. ერთი ძალიან კარგი პრაქტიკა, რაც სხვა პროგრამებში ნაკლებად იკვეთებოდა იყო ნაცვლად „პლაგიატისა“ გამოყენებულია სწორი ტერმინი „მსგავსება“, ძალიან კარგი იქნება, რომ სხვა პროგრამებშიც იყოს გამოყენებული, ამასთანავე მექანიზმი სწორად არის შერჩეული. დახვეწის ნაწილს, თუ აიღებენ 30%-იან კოეფიციენტს, რომელსაც უკავშირდება რამდენიმე სიტყვის რაოდენობა დაანგარიშების საფუძველზე გამოდის, რომ თუ ერთ ნაშრომში აღმოჩნდა 50%-იანი მსგავსება ეს დასაშვებია და მსგავსი დასაშვებობა სამაგისტრო დონეზე მათი მოსაზრებით იქნებოდა გამართლებული, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ბაკალავრიატზე შედარებისას უფრო მეტი ხარისხია აქ და კვლევაც უფრო მეტად უნდა იყოს გამოკვეთილი, აქედან გამომდინარე მეთოდების მხრივ, რაც სასწავლო კომპონენტებში მეტწილად შეიძლება ჩანდეს ბუნებრივია პროგრამას წაადგება. აქტივობებს ეხებოდა, მაგ., „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“, აქტივობად არის განსაზღვრული, თუმცა როგორც არ უნდა ვეცადოთ მას ვერ შევაფასებთ, ამიტომ ეს არის მეთოდი, რომელიც უნარს გამოუმუშავებს, შესაძლებელია აღმოჩნდა რამდენიმე სასწავლო კურსში, სწორედ მის ფარგლებში იყო გაცემული რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ კომპონენტი 3.1-თან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, განაცხადა, რომ ექსპერტმა, დავით ფუტკარაძემ, უშუალოდ ინტერვიუს დროს შეამოწმა გარკვეული დოკუმენტაცია, რომელიც არ იძებნებოდა რუსულ ენაზე, სტუდენტებთანაც დააზუსტა და ფაქტობრივად იმ პროცესში, როდესაც შეისწავლეს დოკუმენტაცია ვერ აღმოაჩინა.

ექსპერტის, დავით ფუტკარაძის განმარტებით, რეკომენდაციის გამომწვევი მიზეზი იყო ის, რომ არ იყო რუსულ ენაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მაგ., „სამაგისტრო ნაშრომის მომზადების წესი“, „სერვისები“ და სხვა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:48
დასრულების დრო: 18:38

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის კომპონენტი 2.3, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იმ აპლიკანტებისთვის, რომლებსაც არ ფლობენ ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების ან მომიჯნავე მიმართულებით ბაკალავრის ხარისხს. (დაზუსტდეს შიდა საუნივერსიტეტო დარგობრივი გამოცდის საკითხები);
2. პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მკაფიოდ გამოიკვეთოს B2 დონის რუსული ენის ჩაბარების ან ცოდნის დადასტურების აუცილებლობა როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის;
3. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ და/ან „პროექტის შემუშავების“ შესახებ სასწავლო კურსები გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები;
4. რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით; ასევე, ნათლად და ცალ-ცალკე ჩანდეს სწავლების მეთოდები და აქტივობები;
5. რეკომენდებულია, დაიგეგმოს სასწავლო კურსების („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“, „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“, „საბადოების დამუშავების მართვა“, „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“, „გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია“ და სხვა) სილაბუსით განსაზღვრული აქტივობები მათი შეცვლა-შემცირების გზით ისე, რომ შეფასება სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს;
6. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების - „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“ და „ნავთობის ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია“ შეფასების კომპონენტები, სისტემა და რუბრიკები არ იყოს უნიფიცირებული, ხოლო ზოგიერთი საგნის („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია,“ „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“ და სხვა) სილაბუსში შეფასების მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური დავალებებით;
7. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს რუსულ ენაზე საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფორმაციის (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია კვლევის მიზნების, ამოცანების, საკვლევი კითხვის, ჰიპოთეზისა (დაშვების/ვარაუდის) და კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ) მიწოდება რუსულენოვანი სტუდენტებისათვის;

8. რეკომენდებულია, დაიხვეწოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მეტი ეფექტიანობის მისაღწევად;
9. რეკომენდებულია, ამოქმედდეს პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-აღმოფხვრის მონიტორინგის მექანიზმები;

რჩევები:

1. სასურველია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“;
2. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და სამაგისტრო პროგრამაში მოცემულ სასწავლო გეგმაში მოცემული სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით მცირე უზუსტობა აღმოიფხვრას (სასწავლო კურსები): სავალდებულო – 76 ECTS, არჩევითი - 14 ECTS. კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS, ხოლო სამაგისტრო პროგრამის აღწერაში კი ასეა გაწერილი: სავალდებულო – 75 ECTS. არჩევითი - 15 ECTS, კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS;
3. სასურველია, რომ პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების კატეგორიზაცია ან უფრო მკაფიოდ განხორციელდეს, რომლის მიხედვითაც ცხადი იქნება სტუდენტთათვის სავალდებულო და არჩევითი საგნების თაობაზე ინფორმაცია;
4. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებდეს „შრომის უსაფრთხოების“ სასწავლო კურსს სწავლის შედეგების სრულად უზრუნველყოფისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით;
5. სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს ციფრული ტექნოლოგიის პირობებში კომპიუტერული პროგრამების ფლობა;
6. .სასურველია, მაგისტრანტისათვის საჭირო საკურსო პროექტირების პრაქტიკული უნარის გამოსამუშავებლად სასემინარო საათები შეიცვალოს საკურსო სამუშაო/პროექტით ან პრაქტიკული მეცადინეობით;
7. სასურველია, „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსისა „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“;
8. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების არსებულ კრიტერიუმების ქულები გადანაწილდეს 100 ქულიან სისტემაზე;
9. სასურველია, უნივერსიტეტმა საერთაშორისო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების გაატაროს;
10. სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება;
11. სასურველია დაწესებულება უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად;
12. მიზანშეწონილია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის“ დახვეწა ისე, რომ ის გავრცელდეს სამაგისტრო ნაშრომზეც და გადაიხედოს მსგავსების კოეფიციენტის დასაშვებობის ნიშნული;
13. სასურველია მუდმივი განვითარების მიზნით პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების დაგეგმვა;

14. პროგრამის მუდმივი განვითარების კონტექსტში სასურველია, დამსაქმებლებთან ხშირი კომუნიკაცია წარმოებდეს და შიდა აქტები ითვალისწინებდეს გარკვეული პერიოდულობით დამსაქმებლებისგან რჩევების მიღებას;
15. სასურველია, უნივერსიტეტმა ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი და მან მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი, კერძოდ, გარდა ელექტრონული სწავლების პორტალზე განთავსებული მონაცემებისა, სასწავლო პროცესის მართვის შესახებ საკვანძო საკითხები (შუალედური და ფინალური გამოცდების ჩატარება, ლექციების ჩაწერის დასაშვებობა, შინაარსობრივი საკითხების შესახებ მხარდაჭერა და სხვა);
16. სასურველია, გარე ექსპერტის და უცხოელი კოლეგების მიერ გამოთქმული რეკომენდაციების, ასევე, უცხოური პროგრამების დადარებისას არსებული გამოცდილების უფრო მეტად გათვალისწინება პროგრამის მუდმივი დახვეწის მიზნით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტის, მე-3 და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 31 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 8 თებერვალს 18:40 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ